საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის №035/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 14 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის 18 აგვისტოს მისმა დედამთილმა სალომე ხვადაგიანმა ადვოკატ ნ. გ.-სთან გააფორმა მინდობილობა და მისცა უფლებამოსილება

ეწარმოებინა მისი საქმე სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატმა შეიტანა სარჩელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სალომე ხვადაგიანის სასარგებლოდ წყალტუბოში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე მოპასუხის უფლების დაკარგულად ცნობა. სასამართლოში საქმის განხილვა დაიწყო 2010 წლის შემოდგომაზე, სხდომებს ესწრებოდა საჩივრის ავტორი. ერთ-ერთი სასამართლო სხდომის დაწყებისას 2010 წლის 15 დეკემბერს ადვოკატმა ნ. გ.-მ ლ. ა.-ს მიაწოდა ფურცლები და სთხოვა ხელი მოეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვა არ დაიწყებოდა. ლ. ა.-მ მოაწერა ხელი ფურცლებს ბოლოს კი ადვოკატის კარნახით მიაწერა გარკვეული ტექსტი. ამის შემდეგ ადვოკატს ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით საჩივრის ავტორისთვის აღარაფერი უთქვამს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013-2014 წლებში ადვოკატი მას უგზავნიდა წერილებს და აშანტაჟებდა. სთხოვდა 4000 აშშ დოლარსა და 2500 ლარს, იმ მოტივით თითქოს საჩივრის ავტორმა მას დაუდო ხელშეკრულება და შეუთანხმდა აღნიშნული თანხების, როგორც საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადახდაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მის შანტაჟს ახლაც აგრძელებს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მინდობილობის საფუძველზე აიყვანა მისმა დედამთილმა და თავად არაფერ შუაშია. ამასთანავე, დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 6000 ლარს და გაურკვეველია ადვოკატი დავის საგნის ღირებულებაზე სამჯერ მეტ თანხას, კერძოდ 13500 ლარს რატომ ითხოვს მათგან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. გ.-მ 2019 წლის 29 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნა, რომ მან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ლ. ა.-სთან თბილისში, მშვიდ ვითარებაში, სადაც მხარეები შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების საფასურზე. საქმე ეხებოდა ლ. ა.-ის დედამთილს, მაგრამ ადვოკატი განმარტავს, რომ მას უშუალო კონტაქტი ჰქონდა ლ. ა.-სთან და მის დედამთილს საერთოდ არ იცნობს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან ლ. ა.-ის ოჯახს წაგებული სასამართლო პროცესები მოაგებინა. დავის საგნის ღირებულება 15000-20000 აშშ დოლარს შეადგენდა. მართალია, ლ. ა.-ის ადვოკატები შესაგებელში წერდნენ, რომ დავის საგნის ფასი 3000 ლარი იყო და სამკვიდრო მოწმობაშიც ამგვარად ჩაწერეს, მაგრამ ეს იყო სტრატეგია, რომ ნაკლები თანხა გადაეხადათ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. ა.-სა და მის ოჯახს მისთვის ხელშეკრულებით შეთანხებული თანხა არ გადაუხდიათ. შესაბამისად, 2013-2014 წლებში არაერთი გამაფრთხლებელი წერილი გაუგზავნა ლ. ა.-სა და პ. ა.-ს, რადგან ფიქრობდა რომ ისინი სოლიდარული მოვალეები იყვნენ, მაგრამ მათგან არანაირ ქმედებას არ ჰქონია ადგილი. ამიტომ, მან და მისმა წარმომადგენელმა მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს გამარტივებული წესით თანხის გადახდევინებაზე ლ. ა.-ისა და მისი შვილის პ. ა.-ის წინააღმდეგ. სააღსრულებო ბიურომ გამოსცა ბრძანება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, ბრძანებაში წერია, რომ ლ. ა.-ის შვილს პ. ა.-ს ადვოკატ ნ. გ.-ის სასარგებლოდ დეკისრა 3500 აშშ დოლარის გადახდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, იგი ლ. ა.-ის შვილისისაგან პ. ა.-ისაგან თანხას ითხოვს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არანაირ შანტაჟს მისი მხრიდან ადგილი არ აქვს. ამასთანავე, პ. ა.-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და ითხოვს თავის

სახელზე დაირეგისტრიროს სახლი, რათა აღმსასრულებელმა შეძლოს მასზე სააღსრულებო ფურცლით მიკუთვნებული თანხების ამოღება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. გ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია – საერთო სამართალი.

3.2 ლ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 14 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2014 წლებში. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში:

ადვოკატი ნ. გ. 2013-2014 წლებში უგზავნიდა წერილებს და აშანტაჟებდა მას. ასევე, იძულებით მოაწერინა ხელი ხელშეკრულებაზე საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „აპეკ-ის" მე-3 მუხლი: კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.
>
> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება".

5.2 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.3 ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ვალდებულებაა და ამ ვალდებულებათა შორის უდავოდ უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის

თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში.

5.4 „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რათა მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №057/10/)

5.5 კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი საჩივარში სადავოდ არ ხდის, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერაა. ასევე, თავადვე უთითებს, რომ იცოდა იმ ტექსტის შინაარსი, რომელსაც ხელი მოაწერა (ტექსტის გარკვეული ნაწილი, ადვოკატის კარნახით, დაწერა თავისი ხელით). მოპასუხე ადვოკატი განმარტავს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მოხდა მშვიდ ვითარებაში, საჩივრის ავტორის მიერ ხელშეკრულების სრულყოფილად გაცნობის შემდეგ. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მოხდა პროცესზე შესვლამდე, იმის იძულებით, რომ თუ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა, ადვოკატი სხდომაზე არ დაეხმარებოდათ.

5.6 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა ადვოკატის მხრიდან მისთვის შანტაჟის შინაარსის შემცველი წერილების გაგზავნაში. ეთიკის კომისიამ შეაფასა რამდენად იყო საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი წერილები მუქარისა და შანტაჟის შემცველი.

5.7 კოლეგია გაეცნო და შეაფასა საქმეში წარმოდგენილი წერილები: 2014 წლის 24 იანვრის N7-ც/ა-ნ/გ წერილი ლ. ა.-ს; 2014 წლის 22 აპრილის N31-ც/ა-ნ/გ წერილი ლ. ა.-სა და პ. ა.-ს; 2013 წლის 26 დეკემბრის N180 - ლ/ა-ნ/გ წერილი ლ. ა.-ს.

5.8 კოლეგია წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ადვოკატი ნ. გ. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლ. ა.-ისა და მისი შვილისაგან მოითხოვდა შემხვედრ შესრულებას, კერძოდ, საადვოკატო მომსახურებიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურებას. ადვოკატმა თავისი ვალდებულება შეასრულა, წარმოადგინა ისინი სასამართლოში და დავის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა უზრუნველყო. ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის გაგზავნილი წერილის მიზანი იყო ლ. ა.-ის ინფორმირება, თუ რა სამართლებრივი შედეგები შეიძლებოდა დამდგარიყო მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კოლეგიის შეფასებით, წერილებში ადვოკატი სამართლებრივად უხსნის ყოფილ კლიენტს, თუ რა სამართლებრივი ბერკეტები აქვთ სასამართლოსა და სააღსრულებო ბიუროს იმისათვის, რომ ვალდებულების იძულებითი აღსრულება მოახდინონ.

5.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის კანონიერი უფლება ჰქონდა მოეთხოვა შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და წერილობით გაეფრთხილებინა საჩივრის ავტორი იმ უარყოფითი შედეგების შესახებ, რომელიც მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვებოდა. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატს არ განუხორციელებია უკანონო ქმედენა და მის მიერ არ დარღვეულა „აპეკ-ის“ მე-3 მუხლი და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №035/19 ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ /სიითი / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/